

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი

№-87

(გაერთიანებული ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან)

ქ. თბილისი; 15 ივნისი; 2021 წ. 11:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

ავთანდილ ცინცაძე

ნინო რუხაძე

ქეთევან მამულაშვილი

ალექსანდრე ხუჯაძე

ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი – ირაკლი
თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და
საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი – მარიამ კვერნაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების
სააგენტოს უფროსის მოადგილე – დავით ჯაიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების
სააგენტოს უფროსის მოადგილე – ოთარ ჩიტაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის – საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი –
გაიოზ თალაკვაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. თორნიკე ბიკაშვილის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკითხი
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი

ლონისძიების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - „ქონების მართვის სააგენტოსა“ და აუქციონში გამარჯვებულ დიმიტრი ოცხელს (პ/ნ: 01010009200) შორის გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის №523-2-25145 ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიული ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლი N7-ში მდებარე 930 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.20.001.147) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლი N7-ში მდებარე 1600 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.20.001.149) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, მიმდებარედ მდებარე 7450 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.01.001.419) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
12. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.039) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.304.01.342) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
14. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, N7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
15. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის, კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.030.010.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
16. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორე ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: 81.08.21.448.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
17. „ქალაქ თბილისში, ჩიქობავას ქუჩა, N29; ქალაქი თბილისი ქუჩა გოცირიძე, N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.034.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
18. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა სოხუმი, ჩიხი II, N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.104.032.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
19. „ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი, N22, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.119.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების, „ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი, N22, კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.119.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 19 მაისის N21.643.723 განკარგულების ბათილად ცნობისა და „ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი, N22, კორპუსი N3-ში და კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.121 და N01.17.08.016.119) მდებარე ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N340 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.050; 01.14.05.003.009.01.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
21. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.441, N01.19.24.007.442, N01.19.24.007.443) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
22. „ვაზისუბნის I მიკრო/რაიონის კორპუსი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.042.007.32.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
23. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.026.01.009; N01.14.16.008.026.01.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
24. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N22-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.320.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
25. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.05.013.032.01.551) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
26. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. ქალაქ თბილისში, გორგასლის ქ. N7-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ: N01.18.03.062.026) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ჰაიდისთვის“ (ს/კ: 405423563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
28. „ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.15.04.020.030) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვიტო-99“-ისთვის“ (ს/ნ: 203864951) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
29. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N53-ის მიმდებარედ 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.065) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დანიელისთვის“ (ს/კ: 402162798) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
30. „ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N76-84-ის მიმდებარედ არსებული 708 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.14.11.025.016) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეიმურაზ გოცამისთვის (პ/ნ: 01008010821) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
31. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ინსტა“-ს (ს/ნ 202057264) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ქუჩა მინდელის მიმდებარედ (ს/კ N01.14.05.006.096) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
32. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „მწვანე დილომი“-ს (ს/ნ 402064840) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი,

ლუბლიანას ქ. N3 (ს/კ N01.13.02.010.088) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

33. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ. N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ატლანტ“-ის (ს/ნ 405285070) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ. N1 (ს/კ N01.12.12.002.001) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

34. „დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა N51 (ს/კ N01.10.15.023.027; N01.10.15.023.006; N01.10.15.023.018; N01.10.15.023.026) დაინტერესებული პირების - შპს „საირმე პალასის“ (ს/ნ 404888092), შპს „აქსის გრუპის“ (ს/ნ 404954117), შპს „აქსისის“ (ს/ნ 211393357) მიმართ, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N26 (ს/კ N01.10.17.002.006) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი 2“-ის (ს/ნ 205090391) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

35. „ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №34 (ს/კ N01.14.03.040.220) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „იქსორი ქავთარაძეზე“ (ს/კ 405341447) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

36. „შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებით, პარტიული სიით არჩეულ წევრს ლევან ხაბეიშვილს, მ/წლის პირველი ივნისიდან ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება.

ბატონმა ლევანმა განმარტა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, თუ პროპორციული წესით არჩეულ თბილისის საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი.

მომხსენებლის მითითებით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მ/წლის 2 ივნისს წარმოდგინა 2021 წლის 2 ივნისის N9/2021 განკარგულება, რომლის თანახმადაც ცნობილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის საკრებულოს გამოკლებული წევრის ლევან ხაბეიშვილის (პარტიულ სიაში N3) ადგილმონაცვლედ ამავე სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი თორნიკე ბიკაშვილი (პარტიულ სიაში N7)

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თორნიკე ბიკაშვილი კანონმდებლობის გათვალისწინებით აცხადებს თანხმობას საკრებულოს წევრობაზე.

დასასრულს, ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხთან მიმართებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, რეგლამენტით დადგენილი წესით, მოახდებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს საკრებულოს უახლოეს სხდომას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნაზე თანდართული თორნიკე ბიკაშვილის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე საკრებულოს განკარგულების პროექტი, განხილულ უნდა იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

2-3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - დავით ჯაიანმა, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ორი დადგენილების პროექტი, რომელთა შესაბამისად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია ვალდებულია, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარუდგინოს ინტეგრირებულ

სისტემაში ჩართული საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა (უფასო ან/და შეღავათიანი მგზავრობის უფლებით, აგრეთვე ფასდაკლების სისტემით მოსარგებლე) რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, სააგენტო იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ უფასო ან/და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით, ასევე ფასდაკლების სისტემით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის შესავსებად თანხების ანაზღაურება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის“.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფი ერთი მიმართულებით მცირდება და განისაზღვრება 0,5 ლარის ოდენობით. ამასთან, მგზავრთა გადაყვანისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ფასდაკლების სისტემა, რომლის მიხედვით მგზავრობის ტარიფის/ფასის გადახდის ფუნქციის მქონე ბარათის ან გადახდის სხვა საშუალების მფლობელი მგზავრი, მგზავრობის ტარიფის/ფასის ამ ბარათით ან გადახდის საშუალებით 0,5 ლარის გადახდის შემდეგ, აგრეთვე დადგენილი შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით/ფასით მოსარგებლე პირი, მისი სამგზავრო პლასტიკური ბარათით ან გადახდის სხვა საშუალებით მგზავრობის ტარიფის/ფასის გადახდის შემდეგ, უფლებამოსილია უფასოდ იმგზავროს 90 წუთის განმავლობაში იმ პირობით, რომ აღნიშნულ დროში ყოველი მგზავრობისას აიღებს სამგზავრო ბილეთს (რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში უფასოა) მისი ბარათით ან გადახდის სხვა საშუალებით. აღნიშნული საჭიროებიდან გამომდინარე მოხდა საბაგირო გზის „უნივერსიტეტი-ბაგების“ ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვა და შესაბამისი სამეღავათო ტარიფების დადგენა.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილებები მიღების შემდგომ შესაბამისად აისახება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №6-25 და 20-81 დადგენილებებში.

აზრი გამოთქვს:

საკითხის წარმომდგენმა ითხოვა დღის წესრიგის მე-3 საკითხად წარმოდგენილი დადგენილების თარიღის ცვლილება, რასაც დაეთანხმა იურიდიულ საკითხთა დაადამიანის უფლებათა დაცვის კომისია.

გადაწყვეტის:

წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტებს და

მოთხოვნილი ცვლილებების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნეეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ – **ოთარ ჩიტიძემ**, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში არსებული მიწის ნაკვეთები ფაქტობრივი მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებენ ფუნქციური ზონისთვის დადგენილი მიწის ნაკვეთის ფართობის და ზომების მოთხოვნებს. შესაბამისად, სამშენებლოდ განვითარებისთვის აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა ატარებს ფორმალურ ხასიათს.

ოთარ ჩიტიძის თქმით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში გამოწვევის დაწესებას და ფუნქციური ზონისთვის დადგენილი მიწის ნაკვეთის ფართობის და ზომების მოთხოვნებისგან გათავისუფლებას. კერძოდ, მომხსენებლის თქმით, ცვლილება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოაღნიშნული დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლში, რომლითაც დადგენილია კონკრეტული ფუნქციური ზონების რეგლამენტები. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ ემატება მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვით ამ მუხლში მითითებული ყველა ქვეზონისათვის დადგენილი მიწის ნაკვეთის ფართობის და ზომების მოთხოვნები არ გავრცელდება იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც მდებარეობენ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში.

აზრი გამოთქვას:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა **ლილე ლიპარტელიანმა** განმარტა, რომ ეწინააღმდეგება ისტორიულ ზონებთან მიმართებაში რეგულაციების გამარტივებას. ქალბატონი ლილეს თქმით, წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის პასუხისმგებლობა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ნაცვლად სრულად ეკისრება ისტორიული მემკვიდრეობის საბჭოს.

ბატონმა **ოთარმა** მიმართა ქალბატონ ლილეს და განმარტა, რომ ისტორიულ ზონებში მდებარე მიწის ნაკვეთები ვერ აკმაყოფილებენ ვერცერთი ზონისთვის დადგენილ

პარამეტრებს, ამასთან, ფორმალურად ხდება სპეციალური ზონალური შეთანხმებით დადასტურება. მისივე თქმით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ხდება აღნიშნული ფორმალური ნაწილის ამოღება, მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე.

გადაწყვეტის:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის – საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა – გიოზ თალაკვაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, არაფინანსური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების საფუძველზე, ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 192 526,8 ათას ლარს. მისივე თქმით, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია სამგორის რაიონის გამგეობის და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში – 900,0 ათასი ლარით და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ასიგნება - 264,3 ათასი ლარით.

მცირდება გამწვანების ღონისძიებები – 164,3 ათასი ლარით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 123 092,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 073 949,4 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 654 129,4 ათასი ლარი.

დასასრულს, ბატონმა თალაკვაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასასდგელები განსაზღვრულია 1 192 526,8 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 184 919,4 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვას:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჯოლიანმა განმარტა, რომ სამგორის რაიონში აქტიურად მიმდინარეობს სკვერებისა და დასასვენებელი ადგილების, მათ შორის, რეკრეაციული სივრცეების მოწყობა. მისივე თქმით წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული თანხების მიზნობრიობაც ასევე სამგორის რაიონში მშენებარე სკვერის მოწყობა გახლავთ.

ლევან ჟორჯოლიანმა იქვე დასძინა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილების პრეამბულაში, სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული - მე-4 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტიელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ გამოყენებულ იქნება ზოგიერთი ხელშეწყობი ღონისძიებები, 2021 წლის 1 თებერვლიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, კერძოდ, მოიჯარეებისთვის, აღნიშნულ პერიოდზე შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა შემცირდება და განისაზღვრება 0 (ნული) ლარის ოდენობით.

მომხსენებლის განმარტებით, მოიჯარეს, რომელსაც 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვს საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი ან/და 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლო, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი/პირგასამტეხლო ჩათვლება მომავალი

გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადახდილი პერიოდის პროპორციულად. ასევე, მოიჯარეს, რომელსაც გადახდილი აქვს 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 31 დეკემბრამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვლება და განესაზღვრება 0 (ნული) ლარის ოდენობით. ხოლო, გადახდილი საიჯარო ქირა და პირგასამტეხლო არ ექვემდებარება დაბრუნებას, რაც, მათ შორის, მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, თუ გადახდილი საიჯარო ქირის ჩათვლა იქნება შეუძლებელი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან საიჯარო ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემას დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებაზე მოიჯარის, რომელსაც შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, დაეკისრა/დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, 2021 წლის 1 თებერვლიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მე-6 მუხლის მიხედვით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები აისახება იმ ქვემოიჯარეებზეც, რომელთაც უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვთ ამ პროექტით გათვალისწინებული მოიჯარისაგან, პროპორციულობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შესაბამის მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ამასთან, დაამატა რომ, პროექტის მე-7 მუხლის მიხედვით პროექტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები ვრცელდება ამ განკარგულების გამოცემის მომენტისათვის მოქმედ შესაბამის ხელშეკრულებებზე.

მომხსენებლის თქმით, ზემოაღნიშნულ პერიოდზე გადასახდელი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 680,000.00 ლარს, ამასთან, 2021 წლის მაისის თვის მდგომარეობით, მოიჯარეების მიერ 2021 წლის 1 თებერვლიდან პერიოდზე გადახდილი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 54,000.00 ლარს.

საკითხის წარმომდგენმა ისაუბრა იმ გარემოებაზეც, რომ პანდემიაზე შესაბამისი რეაგირებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარება-ხელშეწყობის მიზნით, 2020 წლის მარტიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ანალოგიური ხელშემწყობი ღონისძიებები ვრცელდებოდა ზემოაღნიშნული ბიზნეს სფეროს წარმომადგენლებზე.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრების მიზნით ის შექმნილი მდგომარეობა, რაც ახალი COVID-19-ით არის განპირობებული, რამაც მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია მეწარმე სუბიექტების საქმიანობაზე.

აზრი გამოთქვას:

ლეიან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არაერთგზის განხორციელდა სხვადასხვა საშუალებით პაკეტების დაწესება კონკრეტული ბიზნეს სფეროს წარმომადგენლებზე, რაც მეტად მნიშვნელოვანი შედეგითაა მათთვის, ახალი კორონა ვირუსის გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით.

გადაწყვეტის:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა **ლილე ლიპარტელიანმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ**, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - „ქონების მართვის სააგენტოსა“ და აუქციონში გამარჯვებულ დიმიტრი ოცხელს (პ/ნ: 01010009200) შორის გაფორმებულ „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის №523-2-25145 ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - „ქონების მართვის სააგენტოსა“ და აუქციონში გამარჯვებულ დიმიტრი ოცხელს შორის 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, აუქციონში გამარჯვებულს დროებით სარგებლობაში, 5 წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55735 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან **სიტუაციურ ნახაზზე** მონიშნული 45 კვ.მ. უძრავი ქონება. ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა მსუბუქი კონსტრუქციის კაფე-კონკას განთავსება ამასთან, ყოველწლიური საიჯარო ქირად განისაზღვრა 11,124 (თერთმეტი ათას ას ოცდაათი) ლარი.

საკითხის წარმომდგენმა ასევე აღნიშნა, რომ მოიჯარემ სააგენტოს მიმართა წერილობითი თხოვნით იჯარის საგნის ადგილმდებარეობის ცვლილების/კორექტირების თაობაზე, წერილზე თანდართული სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, ვინაიდან, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მხრიდან მოიჯარეს უარი ეთქვა იჯარის საგანზე კაფე-კონკას განთავსების მიზნით, **სპეციალური (ზონალური) შეთანხმების** გაცემაზე, ვინაიდან ტერიტორია წარმოადგენს ფეხითმოსიარულეთა საგალ ნაწილს.

ირაკლი თავართქილაძემ იქვე დასძინა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის მიხედვით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული იჯარის საგნის ადგილმდებარეობის ცვლილება, დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, შემდგომში მასზე კაფე-კონკას განთავსების მიზნობრიობით.

დასასრულს, ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის სააგენტოსა და დიმიტრი ოცხელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში და ხდება ხელშეკრულებით განსაზღვრული დანართის (სიტუაციური ნახაზი) მთავრობის N 21.720.817 განკარგულების დანართის შესაბამისად ჩამოყალიბება.

პირი გამოთქცეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჯოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლი. აგრეთვე, მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში დაემატოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 127² მუხლი. გარდა ამისა, წარმოდგენილი პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ირაკლი თავართქილაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიული ქალაქი“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ შორის 2019 გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, მუხიანში არსებული 117,955 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები. ამასთან, გამარჯვებულ პირს დაეკისრა პრივატიზებულ ქონებაზე 8,000,000.00 (რვა მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით ინვესტიციის განხორციელება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის ვადაში დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, აღნიშნული ვერ განხორციელდა იმ მიზეზით, რომ უძრავი ქონება დაკავებული ქონდათ უკანონოდ მოსარგებლე პირებს, რომელთა ეტაპობრივ გაყვანას ტერიტორიიდან უზრუნველყოფს ქ. თბილისის მერია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოხდა დადგენილი გრაფიკის ცვლილება/გადავადება.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ 2021 წელს კომპანიამ კვლავ მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ხელშეკრულებით განსაზღვრული ინვესტიციის განხორციელების ვადის 1 წლით გახანგრძლივება, რაზეც დედაქალაქის მთავრობამ გამოხატა დადებითი პოზიცია ვინაიდან, პრივატიზებული უძრავი ქონება ახალი გამოთავისუფლებული იყო უკანონოდ მოსარგებლე პირებისაგან, რომელთა გაყვანაზე პასუხისმგებელი იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ამასთან, გასათვალისწინებელი იყო პანდემიიდან გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობა და ფორს-მაჟორული გარემოებები.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის საკრებულოში წარმოადგენილია ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში ცვლილებები, რაც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) ხელშეკრულების მე-3 მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით, რითაც, მყიდველის მიერ, საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადა, ხელშეკრულების გაფორმებიდან, ნაცვლად - 5 წლისა, ხდება - 6 წელი, ამასთან, ერთი წლით იწევს, საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ყოველწიური გრაფიკი, შემდეგი სახით:

ა) არაუგვიანეს 2022 წლის 23 სექტემბრისა - არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით;

ბ) არაუგვიანეს 2023 წლის 23 სექტემბრისა - ჯამში არანაკლებ 3 000 000 (სამი მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით;

გ) არაუგვიანეს 2024 წლის 23 სექტემბრისა - ჯამში არანაკლებ 6 000 000 (ექვსი მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით;

დ) არაუგვიანეს 2025 წლის 23 სექტემბრისა - ჯამში 8 000 000 (რვა მილიონი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით.“.

ბ) გარდა, ინვესტიციის შესრულების ვადის ცვლილებისა, წარმოდგენილი პროექტით ასევე განისაზღვრება, რომ მყიდველის მიერ საინვესტიციო ვალდებულების შესრულებად ასევე ჩაითვლება უძრავ ქონებაზე მოიჯარეების ქვემოიჯარეების მიერ განხორციელებული ინვესტიციაც და აგრეთვე, ამ მუხლის მიზნებისთვის განიშარტება ინვესტიციის მნიშვნელობის საკითხიც.

აზრი გამოთქვას:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მითითებულ იქნას, მთავრობის N21.710.828 განკარგულება, ამასთან, მიზანშეწონილია, პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებულ შენიშვნებს.

გადაწყვეტის:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა **ლილე ლიპარტელიანმა**.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. **თრავლი თავართქილაძემ**, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომლის შესაბამისად, ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მეზრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლი N7-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **930 კვ.მ** მიწის ნაკვეთი იცვლება, მოქალაქე ლია რამიშვილის საკუთრებაში არსებული - ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მეზრძოლთა ქუჩა N18ბ-ში მდებარე **930 კვ.მ** მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებული **18 კვ.მ** შენობა-ნაგებობაში.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციის მიხედვით, აღნიშნული მონაცვლეობის განხორციელება სრულიად შესაძლებელია. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის - **რევაზ სოხაძის** პოზიციის მიხედვით, ვარკეთილი 3-ში, ერთიანობისთვის მეზრძოლთა ქუჩაზე არსებული გამყოფი მიზანშეწონილია სრულად რეკონსტრუქციული ფუნქციით იყოს განვითარებული. აღნიშნულ ტერიტორიაზე მოქმედებს ბენზინგასამართი სადგური და სხვადასხვა ობიექტი, რომელთა შენობა-ნაგებობებიც ქმნის ქაოტურ განაშენიანებას. ამასთან, ზემოაღნიშნული

კომისიის პოზიციის მიხედვით, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამის საკადასტრო ერთეულებზე მოეწყოს პარკი. რისთვისაც აუცილებელია განხორციელდეს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა.

ირაკლი თავართქილაძემ გააუღერა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შედეგები, რომლის მიხედვით:

- 2021 წლის 4 მაისის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მოქალაქე ლია რამიშვილის საკუთრება (ტზ-1), 2021 წლის 28 აპრილის მდგომარეობით განისაზღვრა 241 970 (ორას ორმოცდაათი ათას ცხრაას სამოცდაათი) ლარის ოდენობით.
- 2021 წლის 20 მაისის ექსპერტიზის დასკვნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება (ტზ-1), 2021 წლის 20 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 235 290 (ორას ოცდათხუთმეტი ათას ორას ოთხმოცდაათი) ლარით.

დასასრულს, სსიპ-ქონების სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ლია რამიშვილის პრეტენზია არ გააჩნია გაცვლას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-9 საკითხის მსგავსად, ირაკლი თავართქილაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე წარუდგინა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი, კერძოდ, ირაკლი თავართქილაძის თქმით, ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლი N7-ში მდებარე 1600 კვ.მ მიწის ნაკვეთი იცვლება შპს „ჯეო გრუპი“-ს საკუთრებაში არსებულ 1600 კვ.მ. უძრავ ქონებაში, მდებარე - ქ. თბილისი, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩა N16ა-ში.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციის მიხედვით, აღნიშნული მონაცვლეობის განხორციელება სრულიად შესაძლებელია, ამასთან, მომხსენებლის თქმით, სააგენტოში წარდგენილია, საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის - რევაზ სოხაძის პოზიცია, რომლის მიხედვით, ვარკეთილი 3-ში, სარეკრეაციო ზონის მოწყობის

მიზნით, მიზანშეწონილია განხორციელდეს კერძო პირთა საკუთრებაში არსებული, მათ შორის აღნიშნული მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა.

ბატონმა ირაკლიმ გააუღერა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვის შედეგები, რომლის მიხედვით:

- 2021 წლის 20 მაისის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, (ტზ-1), მთლიანი საბაზრო ღირებულება განისაზღვრა - 404 800 ლარის ოდენობით;
33. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ. N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ატლანტ“-ის (ს/ნ 405285070) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ. N1 (ს/კ N01.12.12.002.001) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლით დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, ზემოაღნიშნულის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 14 ივნისის N21.792.907 განკარგულება და შესაბამისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N11 ოქმი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 14 ივნისის N21.792.907 განკარგულების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართეს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ (ს/კ 204460957) და შპს

„ატლანტ“-მა (ს/წ 405285070) და მოითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, ავ. ბაქრაძის ქ. N16 (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება.

მომხსენებლის მითითებით, კომისიამ 2021 წლის 10 ივნისის სხდომაზე განიხილა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადება და დოკუმენტაცია. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა) კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაცია (ოქმი N 7, 21.09.2020 წ.) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, შემდეგ მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, ავ. ბაქრაძის ქ. N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006);

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება NN 20.1144.1433, 20.1145.1432, 20.1147.1429, 20.1150.1428, 20.1151.1427/ 1.10.2020) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება NN 274, 275, 276, 277, 278, 279) მხარდამჭერი ღონისძიებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა გასცა პირობადადებული სამშენებლო ნებართვები:

ბ.ა) ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) - 26.10.2020, ბრძ N 5159968, ბრძ N5159973;

ბ.ბ) ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115) - 26.10.2020, ბრძ N5159478;

ბ.გ) ქ. თბილისი, ავ. ბაქრაძის ქ. N16 (ს/კ N01.10.10.025.029) - 26.10.2020, ბრძ N5159727;

ბ.დ) ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10, (ს/კ N 01.13.02.005.006) - 26.10.2020, ბრძ N 5159464;

გ) ამ ეტაპზე ყველა ობიექტზე (გარდა ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), შეთანხმებულია კორექტირებული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა;

დ) იმისათვის, რომ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფმა“ დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო - სარემონტო სამუშაოები და შენობა-ნაგებობები შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს „სი ემ სი“-სა

(ს/კ 205292486) და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს“ (ს/კ 204460957), შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფთან“ აფელირებულ კომპანიებს (შპს „მარიჯანი (ს/კ 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ 212272869), შპს „დილომი დისტორიქტ აფართმენტს“ (ს/კ 204514926), იბა ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ 202389156)) შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება (2020 წლის 29 იანვარი; 2020 წლის 20 ოქტომბერი - ცვლილების ხელშეკრულება);

ე) ცვლილების ხელშეკრულების მიხედვით, შპს „სიემსი“ შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას, ასევე, მის კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად.

ვ) ამასთან, შპს „სი ემ სი“ ვალდებულია უზრუნველყოს:

ვ.ა) ტენდერის ჩატარება და გამარჯვებულის გამოვლენა;

ვ.ბ) ტენდერის კლასიფიკაციები;

ვ.გ) განმარტებითი შეხვედრების დაგეგმვა და მათი ჩატარების უზრუნველყოფა;

ვ.დ) ნომინაციები;

ვ.ე) ტენდერის შედეგების თანახმად გამოვლენილი გამარჯვებული კომპანიის/ების მიერ შესაბამის ობიექტებზე, პროექტით და შესაბამისი თანდართული სამუშაოების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ჩასატარებელი სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, 2020 წლის 31 დეკემბრამდე;

ზ) აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „სი ემ სი“-მ მოამზადა ზემოთწარმოდგენილ მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა;

თ) იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნულ სამშენებლო ობიექტებზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაწყება, საჭიროა გარკვეული თანხების მობილიზება, რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილი განაცხადითა და საპროექტო წინადადებით, შპს „ატლანტ“-ი (ს/ნ 405285070) გამოთქვამს მზაობას, განახორციელოს ფინანსური მხარდაჭერა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით;

ი) შპს „ატლანტ“-ის (ს/ნ 405285070) საკუთრებაშია მისამართზე - ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ. N1 (ს/კ N01.12.12.002.001), ფართობი - 3660 კვ.მ.);

კ) აღნიშნული მიწის ნაკვეთზე ვრცელდება:

კ.ა) მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტი - (კ-1) – 0.7;

კ.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი - (კ-2)- 4.6;

კ.გ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი - (კ-3) – 0.2;

ლ) მისამართზე - ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ. N1 არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.12.12.002.001) ვრცელდება სსზ-2. გაცემულია მშენებლობის ნებართვა 12.11.2020 წ, ზრძ. N5179327 მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, რომლის ფარგლებშიც ამ ეტაპზე მშენებლობა არ არის დაწყებული;

მ) მისამართზე - ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ. N1 არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.12.12.002.001) მიმდებარედ არსებული განაშენიანების როგორც დაბალი, ისე მაღალი ინტენსივობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სართულიანობის განსაზღვრა 19 სართულით;

ნ) შპს „ატლანტ“-ი (ს/ნ 405285070) ითხოვს შემდეგი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენებას:

ნ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის – (კ-2) -ის გადამეტებას 4,6-დან 5,2-მდე;

ნ.ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას არაუმეტეს 19 საცხოვრებელი სართულით;

ო) საპროექტო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (N001627121), რომლის მიხედვით, ქ. თბილისში, მექანიზაციის ქ. N1 (ს/კ N01.12.12.002.001) რეგისტრირებული 3660 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მთლიანი საბაზრო ღირებულება 2021 წლის 11 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 281 000 აშშ დოლარს, რაც გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში (3,3238) შეადგენს 4 257 788 ლარს;

პ) იმ შემთხვევაში, თუ კომისია შპს „ატლანტ“-ის (ს/ნ 405285070) საპროექტო წინადადებას განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებას და მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები, კომპანია გამოთქვამს მზაობას, აანაზღაუროს მისამართებზე - შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ. N16 (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N 01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნაწილი, ჯამურად 555 364.66 ლარის ოდენობით;

ჟ) ამასთანავე, შპს „ატლანტ“-ი (ს/ნ 405285070) გამოთქვამს მზადყოფნას, აღნიშნული თანხა 555 364.66 ლარი გადაიხადოს მშენებლობის ნებართვების აღების ეტაპზე, მოთხოვნისამებრ.

როგორც კომისიამ 2021 წლის 10 ივნისის სხდომაზე აღნიშნა, იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების (მათ შორის ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობების) დასრულების მიმართ არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შენობა-ნაგებობების დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო;

ბ) მისამართებზე - შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრადის ქ N16 (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N 01.13.02.005.006) - არსებულ სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომ შეიქმნას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო;

გ) მისამართებზე - შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრადის ქ N16 (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N 01.13.02.005.006) სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ. N1 (ს/კ N01.12.12.002.001) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადება განხილულ იქნას, როგორც შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გაიცეს დადებითი რეკომენდაციები;

ბ) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა განისაზღვროს შემდეგი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით:

L

$$X = (K2^1 - K2)S$$

K2

სადაც:

ა) X არის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა;

ბ) L არის 1კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი*;

- გ) K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;
- დ) K2¹ არის მიწის ნაკვეთისათვის მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;
- ე) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი.

*მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი დგინდება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, აშშ დოლარში. ამასთან, თანხის გადახდა უნდა მოხდეს ლარში, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა:

შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ (ს/კ 204460957) და შპს „ატლანტ“-ს (ს/ნ 405285070), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში (N10/01211333024-01, 13.05.2021), მისამართზე - ქ. თბილისი, მექანიზაციის ქ. N1 (ს/კ 01.12.12.002.001) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში განესაზღვროთ შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებები:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება (კ-2) 4.6-დან 5.2-მდე;

ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება მოხდეს სართულიანობის გაზრდით, მაქსიმუმ 19 სართულის ფარგლებში;

გ) შპს „ატლანტ“-მა (ს/ნ 405285070) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის - 167,087 (ას სამოცდაშვიდი ათას ოთხმოცდაშვიდი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, გადარიცხვა განახორციელოს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი“ (ს/კ: 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ: 212272869), შპს „დიდომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დიდომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის შორის 2020 წლის 16

დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;

დ) შპს „ატლანტ“-მა (ს/ნ 405285070) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განხორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, თანხის გადახდის მოთხოვნის და თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

ე) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა N51 (ს/კ N01.10.15.023.027; N01.10.15.023.006; N01.10.15.023.018; N01.10.15.023.026) დაინტერესებული პირების - შპს „საირმე პალასის“ (ს/ნ 404888092), შპს „აქსის გრუპის“ (ს/ნ 404954117), შპს

„აქსისის“ (ს/ნ 211393357) მიმართ, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N26 (ს/კ N01.10.17.002.006) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი 2“-ის (ს/ნ 205090391) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლით დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, ზემოაღნიშნულის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 14 ივნისის N21.790.910 განკარგულება და შესაბამისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N12 ოქმი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 14 ივნისის N21.790.910 განკარგულების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას 2021 წლის 7 ივნისის N19/01211583996-01 განცხადებით (დამატებით წარმოდგენილია განცხადება N19/01211613918-01, 10.06.2021) მიმართეს დაინტერესებულმა პირებმა - შპს „საირმე პალასი“ (ს/ნ 404888092), შპს „აქსის გრუპი“ (ს/ნ 404954117), შპს „აქსისი“ (ს/ნ 211393357), იმა „აქსისი პალასი 2“ (ს/ნ 205090391) და მოითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა N51 (ს/კ N01.10.15.023.027; N01.10.15.023.006; N01.10.15.023.018; N01.10.15.023.026), ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N26 (ს/კ N01.10.17.002.006) არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება.

როგორც საკითხის წარმომდგენა აღნიშნა, კომისიამ 2021 წლის 11 ივნისის სხდომაზე განიხილა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება და დოკუმენტაცია. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა) კომისიამ (ოქმი N10, 24.05.2021) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა N 51 (ს/კ N01.10.15.023.027; N01.10.15.023.006; N01.10.15.023.018; N01.10.15.023.026), დაინტერესებული პირების - შპს „საირმე პალასი“ (ს/ნ 404888092), შპს „აქსის გრუპი“ (ს/ნ

404954117), შპს „აქსისი“ (ს/ნ 211393357); მისამართზე - ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ N26 (ს/კ N01.10.17.002.006), დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი 2“ (ს/ნ 205090391); მისამართზე - ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ N 12 (ს/კ N01.10.17.002.022) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი“ (ს/ნ 205041033) მიერ წარმოდგენილი ერთობლივი განაცხადების ფარგლებში, შესაბამის მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილება მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (განკარგულება N21.684.796, 28.05.2021) შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან (განკარგულება N 209, 1.06.2021). ამასთანავე, ამავე გადაწყვეტილებებით, დაინტერესებულ პირს დევალა, რომ მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებულ შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;

გ) დაინტერესებული პირები ითხოვენ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების (N 209, 1.06.2021) პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით მოთხოვნილი დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ უნდა იქნას, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე, წარმოდგენილ იქნას აკრედიტებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ.

აგრეთვე ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, როგორც კომისიამ 2021 წლის 11 ივნისის სხდომაზე აღნიშნა, რამდენადაც აკრედიტაცია არის ოფიციალური საექსპერტო შეფასება, რომლის საფუძველზედაც შესაბამისი სახელმწიფო ორგანო აკრედიტაციის მოწმობის გაცემით ოფიციალურად აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელებისათვის, მიზანშეწონილია, რომ განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

დაინტერესებულ პირებს - შპს „საირმე პალასი“ (ს/ნ 404888092), შპს „აქსის გრუპი“ (ს/ნ 404954117), შპს „აქსისი“ (ს/ნ 211393357), იმა „აქსისი პალასი 2“ (ს/ნ 205090391), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N21.684.796, 28.05.2021) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება N 209, 1.06.2021) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, დამატებით წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის საფუძველზე, განესაზღვროთ შემდეგი

დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიება: დაინტერესებულ პირებს, რომელთაც აქვთ მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა N 51 (ს/კ N01.10.15.023.027; N01.10.15.023.006; N01.10.15.023.018; N01.10.15.023.026), ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ N26 (ს/კ N01.10.17.002.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში ვალდებულება - მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინონ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშეწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე - მიეცეთ უფლება აღნიშნულ საკითხზე, ალტერნატივის სახით, წარმოადგინონ ასევე შესაბამისი აკრედიტებული ექსპერტიზის ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნა.

აზრი გამოთქვას:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჯოლიანმა, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №34 (ს/კ N01.14.03.040.220) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „იქსორი ქავთარაძეზე“ (ს/კ 405341447) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშეწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა

ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების” 35-ე მუხლით დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, ზემოაღნიშნულის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 14 ივნისის N21.791.908 განკარგულება და შესაბამისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N12 ოქმი.

ასევე მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 14 ივნისის N21.791.908 განკარგულების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას 2021 წლის 13 მაისს N10/01211333108-01 განცხადებით მიმართა შპს „იქსორი ქავთარაძეზე“ (ს/კ 405341447) და მოითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №34 (ს/კ N01.14.03.040.220)- არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის დამატებითი/დაზუსტებული ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენება.

კომისიამ 2021 წლის 11 ივნისის სხდომაზე განიხილა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება და დოკუმენტაცია. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა) კომისიამ (ოქმი N4, 11.03.2020) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №34 (ს/კ N01.14.03.040.220) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის შპს „იქსორი ქავთარაძეზე“ (ს/კ 405341447) მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის ფარგლებში მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით;

ბ) აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ (განკარგულება N20.441.575, 22.04.2020) და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკარგულება N 132, 9.06.2020); გ) როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, პროექტი, რომელიც უნდა განხორციელდეს აღნიშნულ მისამართზე, ინვესტორის მიერ შედგენილი იყო იმ დროს მოქმედი რეგულაციების ფარგლებში და ძველი კანონმდებლობის გათვალისწინებით. შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტდეს ხელშეწყობი ღონისძიებები. კერძოდ: „არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე გარკვეული პირობები დადგინდეს „ქალაქ თბილისის

ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს #8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად, კერძოდ:

გ.ა) კოეფიციენტების დათვლის ნაწილში გათვალისწინებული იყოს „წესების“ მე-18 მუხლი და კ2-ის გაანგარიშებისას არ იქნას შეყვანილი აივნები, ტერასები, კიბის უჯრედები, ლიფტები და სხვა;

გ.ბ) მეზობელ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული ფრაგმენტით გადასვლის შესაძლებლობა მეზობლის თანხმობის შემთხვევაში დადგენილ იქნეს „წესების“ შესაბამისად;

გ.გ) მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში განთავსებისას გამოყენებულ იქნას „წესებით“ გათვალისწინებული რეგულაციები;

გ.დ) შენობის სიმაღლის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნას „წესების“ 21-ე მუხლით გათვალისწინებული შინაარსი.

აგრეთვე მომხსენებლის მითითებით, რამდენადაც შპს „იქსორი ქავთარაძეზე“ (ს/კ 4051431447) მიერ დაზუსტების სახით მოთხოვნილი მხარდამჭერი ღონისძიებების დაზუსტება არ იწვევს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ცვლილებას და ამასთანავე, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით წარმოდგენილი პროექტი გაანგარიშებულია/აგებულია ადრე (იმ დროს) მოქმედ კანონმდებლობაზე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

მისამართზე - ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №34 (ს/კ N01.14.03.040.220) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, დაზუსტდეს ხელშემწყობი ღონისძიებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომხსენებლის განმარტებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

შპს „იქსორი ქავთარაძე“-ს (ს/კ 4051431447), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მისამართზე - ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა №34 (ს/კ N01.14.03.040.220) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N20.441.575, 22.04.2020) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება N 132, 9.06.2020) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, დამატებით წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის საფუძველზე, განესაზღვროს შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიება: არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე

პირობები დადგინდეს „ქალაქ თბილისის ტერიტორიებისა და განაშენიანების რეგულირების წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად, სიმაღლის განმსაზღვრელი, ავტოსადგომების და ინსოლაციის მოთხოვნების დაუცველად.

აზრი გამოთქვას:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, დამატებითი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლით დადგენილია დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 14 ივნისის N21.789.911 განკარგულება და შესაბამისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების პროექტი, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N12 ოქმი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 14 ივნისის N21.789.911 განკარგულების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას 2021 წლის 24 მაისის N22/01211441766-01 განცხადებით მიმართა შპს „ბაგებმა“ (ს/ნ 405330262) (შპს „ეპიკ დეველოპმენტი“ (ს/ნ 400034850)) და მოითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, ბაგები (ნაკვეთი 07/011), წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.06.007.088) დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენება.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, კომისიამ 2021 წლის 11 ივნისის სხდომაზე განიხილა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა) შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, კომისიამ (ოქმი N2, 26.01.2021) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართზე - ქ. თბილისი, ბაგები (ნაკვეთი 07/011), წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.06.007.088) შპს „ბაგების“ (ს/ნ 405330262) მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის (N10/01203582257-01, 23.12.2020) ფარგლებში შესაბამის მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით;

ბ) აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ (განკარგულება N21.59.70, 28.01.2021) და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (განკარგულება N26, 29.01.2021). ამასთანავე, ამავე გადაწყვეტილებებით, დაინტერესებულ პირს დაევალა, რომ მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;

გ) დაინტერესებული პირი ითხოვს, მიეცეს შესაძლებლობა, რომ მოთხოვნილი დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ უნდა იქნეს, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე, წარმოდგენილ იქნას აკრედიტებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ.

როგორც კომისიამ 2021 წლის 11 ივნისის სხდომაზე აღნიშნა, რამდენადაც აკრედიტაცია არის ოფიციალური საექსპერტო შეფასება, რომლის საფუძველზედაც შესაბამისი

სახელმწიფო ორგანო აკრედიტაციის მოწმობის გაცემით ოფიციალურად აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელებისათვის, მიზანშეწონილია, რომ განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

ამასთანავე, ეს მიდგომა მიზანშეწონილია გავრცელდეს ყველა იმ დაინტერესებულ პირთა მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, სადაც მსგავსი მოთხოვნაა დაყენებული.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს“ და მასთან აფელირებულ კომპანიებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, დაუშთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში განესაზღვროთ შემდეგი დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიება: თუ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუშთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, დაინტერესებული პირების მიმართ გამოყენებულია შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები უკვე დაწყებულ მშენებლობებზე და აღნიშნულის გამო მათ აქვთ ვალდებულება, მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინონ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე, ამ დაინტერესებულ პირებს მიეცეთ უფლება აღნიშნულ საკითხზე, ალტერნატივის სახით, წარმოადგინონ, ასევე, შესაბამისი აკრედიტებული ექსპერტიზის ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნა.

აზრი გამოთქვას:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტიელიანმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



ლევან ჟორჯოლიანი

სხდომის მდივანი



ნინო ჯალაღანია